თბილისი 2021 წლის 14 დეკემბრის

თსუ რექტორის 2021 წლის 26 ოქტომბრის **N214/01-01** და **N215/01-01** ბრძანებების ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის და ასოცირებული პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, თსუ აკადემიური საბჭოს **N98/2021** 2021 წლის **8** ნოემბრის **N19** სხდომის დადგენილებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო სააპელაციო კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" - დამტკიცებული

საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი #2

<u>**სხდომას ესწრებოდნენ**</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)
მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

<u>**დღის წესრიგი:**</u>

- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ნინო აგლაძის მიერ გაკეთებული მოხსენება;
- თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ნინო ლომიას მიერ გაკეთებული მოხსენება;

<u>**მოისმინეს:**</u>

მედიცინის დოქტორ ნინო აგლაძის და მედიცინის დოქტორ ნინო ლომიას მინი მოხსენებები, მათი სამეცნიერო საქმიანობის თაობაზე. კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატებმა დეტალურად მიმოიხილეს საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც სთავაზობენ მედიცინის ფაკულტეტს.

აზრი გამოთქვეს:

მაია ბიწკინაშვილმა და თეიმურაზ დოჭვირმა. მათ აღნიშნეს რომ კარგად იცნობენ კანდიდატების სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ღირსეულ კანდიდატებად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 10 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა თსუ მედიცინის ფაკულტეტზე კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრის ასისტენტ-პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე მედიცინის დოქტორ ნინო აგლაძის და მედიცინის დოქტორ ნინო ლომიას არჩევას.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს კენჭისყრის შედეგები;
2. მედიცინის დოქტორი ნინო აგლაძე არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრის ასისტენტ-პროფესორად; მედიცინის დოქტორი ნინო ლომია არჩეულ იქნას თსუ მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრის ასოცირებულ პროფესორად;

კომისიის წევრების ხელმოწერა:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული პროფესორი) მოადგილე

ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)